სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №11
(გადაუდებელი აუცილებლობა)

ქ. ბათუმი 14 იანვარი, 2019 წელი

ერთის მხრივ შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ციური აბულაძის სახით და მეორეს მხვრივ, შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაჭაპურიძის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის აფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. საქონელი''-ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლაბორატორიული რეაქტივების შესყიდვა (CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები; CPV33696500 - ლაბორატორიული რეაქტივები) მიწოდება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12434, 35 (თორმეტიათასოთხასოცდათოთხმეტი ლარი და 35 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

4.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 21 იანვარი;

4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ელექტრონული ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს.

5.2. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის დანიშნულების ადგილამდე მიტანას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მისამართზე: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №11;

6.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე (წერილობითი, ელექტრონული, სატელეფონო) ან/და მომდევნო სამუშაო დღეს;

6.3 შეკვეთის განხორციელება მოხდება შემსყიდველის პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით.

7. გარანტია

7.1 მიწოდებული პროდუქტების ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 12 თვე მიწოდების მომენტიდან.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციული-სამეურნეო სამსახურის სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებების ბრუნვის მთავარი სპეციალისტი თამაზ ავალიანი;

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო

სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02 %.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეო-

რე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეებმა არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 14 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 22 თებერვლამდე.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
შპს “სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“ ს/კ 245418392	შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“ ს/კ 202161640
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. № 17 ქათამაძის ქ. №11 ელ. ფოსტა info.infeqciuri@gmail.com ტელ: 253615; 253088	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ელ. ფოსტა devdariani.marika@gmail.com ტელ: +99532950222
ს.ს. ,,ვი თი ბი ბანკი” ბ/კ: UGEBGE22 ანგ. №GE52VT5500000000203408	სს "ბაზის ბანკი" ბ/კ: CBASGE22 ანგ. №GE67BS0000000055236674
დირექტორი: ციური აბულაძე ----------	**დირექტორი: გიორგი ხაჭაპურიძე** _____

ფასების ცხრილი

№	დასახელება	განომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	Na/K 800ml reag. module	ცალი	1	500	500
2	Combina 13 100 tests	ნაკრები	10	74	740
3	Glucose - 4 x 100 ml	ნაკრები	2	46	92
4	GPT (ALAT)- 8 x 50 ml	ნაკრები	2	120	240
5	Creatinine - 200 ml	ნაკრები	2	52	104
6	Auto-CREATENINE 250 ml	ნაკრები	2	50	100
7	Urea - 2 x 100 ml	ნაკრები	2	45	90
8	Urea- 8 x 50 ml	ნაკრები	1	240	240
9	HC-DILUENT for HumaCount 20L	ცალი	4	234,65	938,60
10	HC5L-Diluent 20 L	ბოთლი	15	234,65	3519,75
11	HC-Lyse CF for HumaCount 1L	ბოთლი	3	140	420
12	HC5L-Lyze 5 L	ბოთლი	3	1000	3000
13	HC5L-DIFF 1 L	ბოთლი	2	120	240
14	HC-Cleaner for HumaCount 1L	ბოთლი	2	100	200
15	Humatube 3ml K3 EDTA 1x100 13x75mm	შეკვრა	40	27	1080
16	Humatube 5 ml, 13x100mm 1x100 Gel+C/A	შეკვრა	20	34	680
17	Humatex CRP reagent, test kit 100 Tests	ნაკრები	2	50	100
18	Daily Rinse/Cleaning Sol.	ცალი	1	150	150
					12434,35

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი **14 იანვარი, 2019 წ.**

ვადასტურებთ, რომ შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის“ მიერ ლაბორატორიული რეაქტივების შესყიდვა (CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები; CPV33696500 - ლაბორატორიული რეაქტივები) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: **ციური აბულაძე**

ადმინისტრაციული-სამეურნეო სამსახურის
სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებების
ბრუნვის მთავარი სპეციალისტი: **თამაზ ავალიანი**